

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი N33

სხდომის ჩატარების დრო:
24 ოქტომბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული დარბაზი N210

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, ნინო ბიბილეიშვილი, გრიგოლ შუშანიძე.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაგდა კოსტავა, მამუკა რეჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე იუზა უგულავა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე მირზა ხიდაშელი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი, რუსუდან ჩინჩალაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი,

იმედა სალინაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, მამუკა რიყამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა მირზა ხიდაშელმა.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა მ.ხიდაშელმა აქვე განმარტა: „ამ ეტაპზე ნუსხაში წარმოდგენილი გვაქვს 64 ობიექტი, ჯამური ღირებულებით 21,6 მილიონი ლარი, წარმოდგენილ ჩამონათვალში პირველი 5 ობიექტის გარდა ყველა არის ახალი, ეს ხსენებული 5 ობიექტი კი მიმდინარეობის პროცესშია და მომდევნო წელში გადავა მათი დასრულების ვადა, რაც ჩახურულია ან ჩახურვის პროცესშია, იმას სიაში აღარ ვამატებთ, რადგან მხოლოდ მოცულობით გაზრდის ამ სიას.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი გრიგოლ შუშანია: „ერთი თხოვნა მექნება, დავამატოთ განმარტებით ბარათში განმარტება, კონკრეტულად რომელი ობიექტებია ახალი და რომელი ძველი, რომ არ დაგვჭირდეს თვეების და წლების მიხედვით მოძებნა და ერთმანეთის შედარება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „მომავალი წლიდან განკარგულება, რომლის სათაურშიც მითითებულია 2021-2024 წლებში განსახორციელებელი პროექტები, ძალადაკარგულად გამოვაცხადოთ, დასრულებული პროექტები თავისთავად ამოღებულ იქნება და მივიღოთ ახალი განკარგულება 2024-2027 წლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ, რომელშიც იქნება ერთიანი ახალი გეგმა.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი: „ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხს შევხვები, მაინტერესებს, აღნიშნული ობიექტების ნუმერაცია პირობითად თუ იწყება 1-დან და გრძელდება 50-მდე, პრიორიტეტების მიხედვით თუ არის დალაგებული? მაგალითად მოცემული გვაქვს 10 მილიონი ლარი, პირველი ობიექტიდან დაწყებული ეს თანხა რომელ ობიექტამდეც გვეყოფა, ვახორციელებთ ჯერ ამ პროექტებს და დამატებითი თანხების მოძიების შემთხვევაში მომდევნოებზე გადავდივართ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „დიახ ასეა, თუმცა სამინისტრო ვერ ხედავს პრობლემას იმაში, თუ საკრებულო მიიჩნევს რომელიმე ობიექტის სასწრაფოდ რეაბილიტაციის აუცილებლობას, ნუმერაციით 44-ედ ყოფნის შემთხვევაშიც კი, წინ გადმოინაცვლოს და განხორციელდეს.“

კომისიის წევრი, ბატონი გრიგოლ შუშანია: „კალათბურთის სპორტ სკოლის რეაბილიტაციას როდის ვიწყებთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მქონდა მაგასთან დაკავშირებით საუბარი რამდენიმე დღის უკან და ან რეგიონალური ფონდიდან მოგვეცემა თანხა, ან მთავრობის განკარგულებით და ან შეთანხმებული თანხა გადაეცემა კალათბურთის ფედერაციას და ის განახორციელებს სამუშაოებს, შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში კალათბურთის ფედერაციისთვის გათვალისწინებულია 13 მილიონი ლარი, ამას ემატება დაახლოებით 4 მილიონი ლარი და აღნიშნული 17 მილიონიდან სავარაუდოდ 3 მილიონი ლარი დაიხარჯება სპორტ სკოლის რეაბილიტაციაში.“

კომისიის წევრი, ქალბატონი მაია სიმონიძე: „როგორც ვიცი ეს შენობა არ ჯდება სტანდარტებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „თვითონ კალათბურთის ფედერაციას ჩამოაქვს პროექტი, რომელსაც გაგვაცნობენ და ჩვენც შეგვითანხმებენ.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი: „კიდევ ერთხელ მინდა გავაჟღერო სასულეების თემა, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში სამი სასულის პრობლემა მაქვს, ყველა საქმის კურსშია და ადგილზეა დათვალაირებული, იქნებ მოხერხდეს ჩვენი სახსრებით რაიმე ზომების მიღება, გაუსაძლისია მოსახლეობის მდგომარეობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „დაახლოებით სამი წელია ვაცხადებდით სასულეების მოვლა-პატრონობაზე ტენდერს და მაშინ იყო ცხრამეტი ობიექტი აღწერილი, ვაგრძელებთ ამ აღწერის პროცესს და მთელი ქალაქის მასშტაბით რომ დავამთავრებთ აღწერას, ერთიანად გამოვაცხადებთ, ცალ-ცალკე გამორჩევით ვერ გავაკეთებთ, ერთს დავამატებ, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტადი არაა, უბრალოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გავწმენდთ თითოეულს, სასულე ისეთი რაღაცაა, მაქსიმუმში ყელის და მისასვლელი გზის გასუფთავება შეგიძლია, კაპიტალური გაკეთება და იმის თქმა, რომ ანალოგიური არ დასჭირდება განმეორებით, ეს აფსურდია.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი: „მესმის რასაც ამბობთ, მესმის, რომ საბოლოოდ გადაწყვეტადი ეს საკითხი ვერ იქნება, თუმცა იმ ერთჯერადი დასუფთავებით მოსახლეობას შევებას მოვგვრით, ახლა იქნება ხშირი ნალექი და დადგება ამის აუცილებლობა დარწმუნებული ვარ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „ამიტომ კიდევ ერთხელ გეტყვით, ასე გავაკეთოთ, თქვენც მოგვაწოდეთ სია, ჩვენს მიერ მოძიებულ სასულეების ჩამონათვალსაც გაგაცნობთ, კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ, წავიკითხოთ არ გამოგვრჩეს არაფერი და მომსახურეობაზე ტენდერს გამოვაცხადებ.“

კომისიის წევრი, ბატონი თეიმურაზ ნადირაძე: „ბატონო იუზა, რას გვეტყვი გოგებაშვილის ქუჩაზე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „წყალმომარაგების კომპანია ასრულებს სამუშაოებს, გვინდოდა ასფალტის საფარით გაგვეკეთებინა ქვაფენილის ნაცვლად, იმიტომ რომ ამ ქუჩას აქვს სახასიათო რელიეფური მდგომარეობა, ძლიერი წვიმის დროს ირეცხება და ეს ქვაფენილიც სულ მორყეულ მდგომარეობაშია, მაგრამ იქ მაცხოვრებლები ვერ დავითანხმეთ ასფალტის საფარზე.“

კომისიის წევრი, ქალბატონი ნინო ბიბილეიშვილი: „29-ე ბაგა-ბადთან დაკავშირებით რას გვეტყვით ბატონო იუზა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „თუ თვალს ადევნებთ ნახავდით, რომ გამოვაცხადეთ ტენდერი, ტენდერის დასრულებამდე მოხდა შეჩერება, რადგან პროექტი ვერ შეათანხმეს კულტურულმა მემკვიდრეობამ და ემგეფმა, ამ ეტაპზე შეჩერებულია და იმედია მიაღწევენ კონსენსუსს.“

კომისიის წევრი, ბატონი გრიგოლ შუშანი: „არხის და რესპუბლიკის ქუჩებზე რას გვეტყვით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „არხის ქუჩა ძალიან ძვირადღირებული პროექტია, წელს სავარაუდოდ ვერ განხორციელდება, ხოლო რესპუბლიკის ქუჩასთან დაკავშირებით შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება.“

საკრებულოს წევრი, ქალბატონი ელენორა არჩაია: „ბიუჯეტი რამდენი ლარით იზრდება წელს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „დღით და ქონებით გაგვეზარდა 6 მილიონი ლარით, აქედან 10%-იანი ზრდა გვაქვს ხელფასებში და ამას დასჭირდება დაახლოებით 4 მილიონი, დაგვრჩება 2 მილიონი, მაგრამ ერგეფიდან ველოდებით დაფინანსების 50%-იან ზრდას, 15 მილიონის ოდენობით.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ამირან კოპალეიშვილი: „საყრდენი კედლების გაკეთებას ჩვენი თანხიდან ვაპირებთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა: „სექტემბერში ჩვენ რაც შევძელით ინფორმაციის მოპოვება სტიქიის დროს, ჯამში იყო 18 კედელი, გამოცხადებულია ტენდერი, გამარჯვებულები არიან თბილისელები, ვადა აქვთ იანვრის სადასწყისამდე, ვთხოვეთ, რომ ერთად არ მოგვაწოდონ თვრამეტივე, პირველ ეტაპზე მივიღებთ ცხრას, მეორე ეტაპზე-ცხრას, სამინისტროსთან შეთანხმებულია, რაც იქნება ხარჯთაღრიცხვით თანხა იმას გამოგვიყოფენ, დაახლოებით ციფრი დავასახელებ მილიონამდე და სამინისტრომ მზადყოფნა გამოთქვა, მივიღებთ პროექტს, გავაკეთებთ მიღება-ჩაბარებას და გავუზავნით პროექტებს.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინეს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის N347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მთავარი შენიშვნები:

დღის წესრიგის მეორე საკითხის - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა ა.კოპალეიშვილმა აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია თავის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის,

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი, ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას, მიმდინარე წლის განმავლობაში „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში განხორციელდა 11 ცვლილება და ნუსხას დაემატა 28 ობიექტი, რომელთა პრივატიზაციის შემთხვევაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოხდება დამატებითი თანხების აკუმულირება.

კომისია შედგება თოთხმეტი წევრისაგან.

2022 წლის ოქტომბრიდან დღემდე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 18 სხდომა, განხილულია სულ 100 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები. ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და თითქმის ყველა მათგანზე მოწვეულნი იყვნენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები.

კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, ასევე მონაწილეობა მიიღო კანონით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებაში. მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2023 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე ხდება ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების გაწეული საქმიანობისა თუ სამომავლო პერსპექტივების განხილვა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული თუ სხვა ანგარიშვალდებული პირების ანგარიშებს, გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ

გატარებულ ღონისძიებებზე, მიმდინარე წლის მაისისა და ივლისის თვეში ჩატარებულ სხდომებზე კომისიამ მოისმინა ანგარიშები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „სპეციალური სერვისებისა“ და „ქუთგანათების სერვისის“ მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ და დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიშები.

მოგახსენებთ, როგორც კომისიის თავმჯდომარე, ჩართული ვარ „USAID“-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებით გათვალისწინებულ პროექტებში და ონლაინ პლატფორმის მეშვეობით აქტიურად ვერთვები ინტერვიუებში ისეთ საინტერესო თემებთან დაკავშირებით, როგორცაა „ქუთაისის მუნიციპალიტეტში კონცენტრირებული და კონკურენტული ბიზნეს სექტორების იდენტიფიცირება“, „საჯარო-კერძო სექტორებს შორის რეგულარული დიალოგის ხელშეწყობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებში“, „საჯარო ფინანსების მართვის შეფასება სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების ჩარჩოს გამოყენებით“, მზად ვარ სამომავლოდაც გავაგრძელო ეს ნაყოფიერი თანამშრომლობა.

შევხები ერთ საყურადღებო და მისასალმებელ ფაქტს: „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში საკრებულოს გადაწყვეტილებით შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშუტებზე მგზავრობის ტარიფის შეღავათიანი ფასდაკლებით, უფასო სარგებლობის უფლებით ისარგებლებენ, აღნიშნულ საკითხში მნიშვნელოვნად იყო ჩართული ჩვენი კომისია.

კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად, რომელიც ეხება, როგორც მატერიალურ, ასევე ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ: ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სკვერების მოწყობას, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოების ჩატარებას, გარე განათების დამონტაჟებას, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრი სამუშაოებს, გზის საფარის მოწყობას და ა.შ, მერიის შესაბამისი სამსახურის წინაშე შუამდგომლობა გაეწია 60-მდე მოქალაქეს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: საკრებულოში შემოსული, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ პროგრამებსა თუ პროექტებში მაქსიმალური ჩართულობის

უზრუნველყოფა, ასევე, მის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნების წარდგენა საკრებულოსათვის, ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურებისა თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონიტორინგი, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება და სხვა."

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მანია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

დღის წესრიგის მესამე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა რუსუდან ჩინჩალაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა რ.ჩინჩალაძემ აქვე განმარტა: „ქალაქ უთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის №26 დადგენილებით დამტკიცდა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის დებულება, რომლის მიხედვით

სამსახური ახორციელებს დადგენილი კომპეტენციების მიხედვით საკუთარ უფლებამოსილებას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური (შემდეგში-სამსახური) კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს: ქალაქმშენებლობითი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას; ქალაქმშენებლობითი პროცესების მონიტორინგს; განაშენიანების გენერალური გეგმის მართვას, ანალიზს და მისი განხორციელების მექანიზმების შემუშავებას; ქუთაისის ურბანული განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას; ქუთაისის ცალკეული ტერიტორიების განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავებას; ცალკეული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას; ცალკეული მიწის ნაკვეთის გაყოფა-გაერთიანების თაობაზე წინადადებების მომზადებას; ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების გეგმარებითი დავალებების გაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებას; I კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობა/მონტაჟის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენასა და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის წერილობითი დადასტურებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას; II კლასის შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას; III და IV კლასის შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას; დემონტაჟის პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას; უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის ლეგალიზების თაობაზე საპროექტო დოკუმენტაციის განხილვასა და ნებართვის გაცემას; კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მქონე ფიზიკური დაცვის 50 მეტრიან არეალში განსახორციელებელი მშენებლობის სამშენებლო და სარეკონსტრუქციო დოკუმენტაციის საქმისწარმოების მართვასა და საქმისწარმოების პროცესში კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვის უზრუნველყოფას; კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მქონე ობიექტების რეესტრის წარმოებას; არქიტექტურული ობიექტების შესახებ შემოსული წინადადებების განხილვასა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას; სამსახურის შიდა საქმისწარმოების ორგანიზებას, დოკუმენტბრუნვის პროცესის მართვას; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს; კომპეტენციის ფარგლებში „MSDA“ მოდულის მართვას; სხვადასხვა უწყებებთან არსებული საბჭოების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დადგენილი წესით მიწოდებას და მათ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას; სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებში პროექტების შექმნასა და განხორციელებას; მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და შემდეგი სამართლებრივი აქტების საფუძველზე:

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი;

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილება;

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება;

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილება;

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება;

საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილება-ტექნიკური რეგლამენტი მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე.

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულება;

საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“;

საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;

საქართველოს კანონი „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

„საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება, საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

„შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის N354 დადგენილება;

სხვა კანონები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ დაკავშირებულია სამსახურის ფუნქციების განხორციელებასთან.

აგრეთვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებები და განკარგულებები.

ქალაქ ქუთაისის მერის ბრძანებები, ცალკეული სამართლებრივი აქტები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, 2017 წლიდან (დღეის მდგომარეობით უკვე ქვეყნის მასშტაბით) საქმისწარმოებას ელექტრონული ფორმით, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ დანერგილი ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემის მეშვეობით ახორციელებს. ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გაამარტივა მშენებლობებზე ნებართვების გაცემის პროცედურა, გახადა იგი საჯარო და გამორიცხა ბიუროკრატიული ფაქტორი. მომხარებელთათვის გარკვეული სირთულეები შესაძლოა, ახლაც იქმნება მაგრამ, საბოლოო ჯამში ეს არა მხოლოდ ბევრად აადვილებს ნებართვის მიღების პროცედურას, არამედ აგრეთვე ამცირებს არასათანადო და დაბალი ხარისხის პროექტის

შეუმწველობის რისკს. სისტემაში ატვირთული პროექტი ინტერნეტ სივრცეში საჯაროა და მასზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

მოქალაქეებისთვის ცალკე დამოუკიდებელი სისტემა შექმნილი, რომლითაც სარგებლობენ ელექტრონული განცხადებების ატვირთვის დროს (პორტალი- Ms.gov.ge) სწორედ აქ ხდება სამშენებლო დოკუმენტის პროექტების ატვირთვა. პროცესის სწორად წარმართვის მიზნით სამსახურში არსებობს შესაბამისი (ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობებისა და მონაცემთა ბაზების მართვის) განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ელექტრონული სისტემების გამართულად მუშაობის პროცესს და მოქალაქეთათვის სერვისის მიწოდების მაღალ ხარისხს.

სამსახურში სულ სამი განყოფილება ფუნქციონირებს, ესენია:

ა).სამშენებლო ნებართვების განყოფილება; ბ) სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის განყოფილება; გ) ძეგლთა დაცვის, საკონსულტაციო საბჭოებთან ურთიერთობისა და მონაცემთა ბაზების მართვის განყოფილება.

ვაცნობიერებთ, რა სამსახურის ურთულეს როლს ქალაქის ურბანულად სწორად განვითარებაში ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბდა სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის მიმართულება. ქალაქში, რომელსაც უკანასკნელი 40 წლის მანძილზე არ ჰქონია კანონით დადგენილი წესით შემუშავებული განაშენიანების მართვის არცერთი დონის დოკუმენტი, ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული დანაყოფის, ზოგადად სივრცის დაგეგმარების და ურბანული პოლიტიკის მიმართულება არის ერთ-ერთი პრიორიტეტული.

საქმის წარმოებისას ვითვალისწინებთ იმას, რომ სივრცითი მოწყობა არის გადამწყვეტი ხელსაწყო მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვის თუ სტრატეგიის რეალიზებისათვის. ის უზრუნველყოფს კონკრეტული ტერიტორიისათვის ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სარგებელს რადგანაც: • ქმნის მყარ და წინასწარ განსაზღვრად გარემოებებს არსებული ბიზნესების შენარჩუნებასა და ახალი ინვესტიციების მოსაზიდად; • უზრუნველყოფს განვითარებისგან მიღებული სარგებლის გამოყენებას ადგილობრივი მოსახლეობის სასიკეთოდ; • მიმართულია მიწისა და ბუნებრივი რესურსების მდგრად, ეფექტიან გამოყენებაზე, ხელს უწყობს ტერიტორიული უთანასწორობის აღმოფხვრას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ უბნებს შორის. სამწუხაროა, რომ უკანასკნელ ათწლეულებში დავიწყებულ იქნა ქალაქგანვითარების მხატვრული მხარე – ყველაზე შემოქმედებითი ნაწილი, სადაც წარმოსახვას და კრეატიულ აზროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს ჩამოყალიბებაში. თუ ადრე შეიძლებოდა საუბარი ურბანული გარემოს ფორმირების პროცესში რაღაც არამატერიალურ ღირებულებებზე, ახლა მიღებულია უძრავი ქონების - მიწისა თუ შენობა ნაგებობის ფასებზე მსჯელობა ანუ ურბან-მენეჯმენტში ფისკალური ინტერესები უფრო დომინირებს, ვიდრე მოქალაქეების და წმინდად არქიტექტურის ინტერესები. შედეგად ქალაქის სივრცის მიმართ უფრო მეტი ფინანსური

სარგებლის მიღების დამოკიდებულება იკვეთება, რომელიც რა თქმა უნდა არ და ვერ ეფუძნება ჰუმანიტარულ და აკადემიურ მიდგომებსა და ხედვებს.

მისასალმებელია, რომ საქართველოში და საბედნიეროდ ქუთაისშიც ბოლო წლებში მოიმატა ქალაქური პრობლემატიკით, ურბანისტული საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისა და ორგანიზაციების რაოდენობამ. თუმცა, პროფესიონალი ურბანისტებისა და ქალაქგეგმარებლების რიცხვი ქვეყანაში მაინც შესამჩნევად მცირეა. რაც ამ დრომდე სამსახურის ერთ-ერთ თითქმის დაუძლეველ გამოწვევად რჩება. ვერ იქნა მოძიებული ისეთი კადრები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება ერთმანეთთან და სამსახურის ძირითადი ფუნქციების განხორციელებასთან იქნება თანხვედრაში. საკითხი კიდევ უფრო მწვავეა იმ ფონზე, როდესაც ქუთაისის მერია ახორციელებს „ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის“ შემუშავების პროცედურებს კანონით დადგენილი წესით. სამსახურის მოქნილობასა და ნოვატორულ ხასიათზე ხაზგასასმელად უნდა ითქვას ის, რომ „ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის“ შემუშავებას ვახორციელებთ, სრულიად ახლებული მეთოდოლოგიით, რომელიც მოწონებული იქნა სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო მიერ. ეს მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მეტ სიღრმეს, საჯაროობას, გამჭვირვალობას, მოქნილობასა და ეფექტურობას. დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისი პროცედურების დაწყება მიმდინარე წლის ნოემბრის თვის ბოლოს იქნება დასრულებული და ეს მინიმალური ადამიანური რესურსის გამოყენებით მოახერხა სამსახურმა. ისევე, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფცია, ხედვის, სტრატეგიისა და სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მდგენელებთან ერთად შემუშავდა და საბოლოოდ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №182 განკარგულებით დამტკიცდა.

ქუთაისში, და არა მარტო ჩვენს ქალაქში ზოგადად, საშენებლო სფეროს ყოველთვის ახასიათებდა მკვეთრი რხევები და არასტაბილურობა, თუმცა სტატისტიკა მოწმობს, რომ შეინიშნება მზარდი ტენდენცია ბოლო წლებში. შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა დამოკიდებულია მრავალ ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორზე, მაგ: სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, პოლიტიკური სტაბილურობა თუ არასტაბილურობა, მიგრაციის მაჩვენებლები და ა.შ. მიუხედავად ამ უკანასკნელი უარყოფითი ფაქტორისა, ქუთაისში მთავარ მოთხოვნად კვლავ საბინაო ინფრასტრუქტურის შექმნაზე მოთხოვნა წარმოადგენს, როგორც წესი, საცხოვრისი ქალაქის ძირითადი ფუნქციაა. ის აყალიბებს ქალაქის ხასიათს, რადგან სწორედ საცხოვრისის ტიპების მიხედვით ყალიბდება სპეციფიური ცხოვრების სტილი, სამეზობლო ურთიერთობები და ღირებულებები. ამ გარემოების დაცვა ქალაქის დაგეგმარებისას ჩვენი ერთერთი უმთავრესი ამოცანაა, რადგან ადამიანების ჩვეული ცხოვრების სტილის რღვევა იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას რაც, საბოლოო ჯამში, უბიძგებთ მათ დატოვონ ჩვეული გარემო და ახალი საცხოვრებელი ადგილი მოიძიონ. ჩვენი ქვეყნის პირობებში, როდესაც ქალაქები ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსახლეობის შენარჩუნებაში, საცხოვრებელი გარემოს ხასიათის დაცვა უკიდურესად მნიშვნელოვანი ხდება. ჩამოყალიბებული უბნები, როგორც წესი, ხასიათდებიან მყარი სოციალური კავშირებით, გარკვეული კულტურული ღირებულებებით არიან უსაფრთხო და, შესაბამისად, მიმზიდველი საცხოვრებლად.

მიზიდველობა აისახება უძრავი ქონების ფასში. შესაბამისად, ასეთი უბნები ძალიან ხშირად არის ინვესტორის სამიზნე. ამდენად, მუნიციპალიტეტის და შესაბამისად ჩვენი სამსახურის ამოცანაა, ერთის მხრივ, ხელი შეუწყოს უბნების ჩამოყალიბებას, მათი ხასიათის დაცვას და, მეორეს მხრივ, მათ მდგრად განახლებას. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ისეთი საინვესტიციო პირობების შექმნას სივრცითი მოწყობის რეგულაციების გამოყენებით, რომ დეველოპერის ინტერესიც დაკმაყოფილდეს და, ამავდროულად, არ დაიკარგოს ის ღირებულება - ხასიათი რამაც მოიზიდა ეს დეველოპერი. რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტივი ამოცანა, თუმცა, მისი მიღწევა შესაძლებელია, საქმისწარმოებაში მონაწილე ყველა მხარის გონივრული და მრავალჯერ გადააზრებული, ქალაქის ინტერესებს მორგებული გადაწყვეტილებების მიღების გზით. ერთი საანგარიშო წლის მანძილზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურმა მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი) დაადგინა, მაგრამ სამწუხაროდ მიმდინარე ანგარიშში ვერ მოხვდა ვერც ერთი საბოლოოდ მოწონებული გარემოს დეტალური გეგმის პროექტი (გდგ), რომელიც სივრცითი განვითარების ამ ეპატზე მყოფი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტია. რაც უმეტესწილად ისევ შესაბამისი სპეციალისტების არ არსებობით არის განპირობებული. ამის საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ თავად სამსახურის და კონკრეტულად სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი საქმიანობის განყოფილების მიერ დამუშავდა ორი მნიშვნელოვანი ტერიტორიის დეტალური გეგმა: 1. „საცხოვრებელი უბნის ასათიანზე“ და 2. კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ნიკვას საცხოვრებელ უბანში დიდი საინვესტიციო არეალის შექმნის.

მშენებლობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და განვითარებადი დარგია, რომელიც გამოირჩევა არსებითი სპეციფიკურობით და რომლის განვითარებაც მეტ-ნაკლები დონით ინვესტორების მოზიდვასთან არის დაკავშირებული. ეს კი შესაძლებელია უპირველეს ყოვლისა ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს არსებობითა და სწორი სამართლებრივი რეგულირებით. სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესში სავალდებულოდ გამოსაყენებელია არაერთი კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც სამწუხაროდ რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. ადგილი აქვს ნორმათა კოლიზიას, რაც იწვევს დაბნეულობას პირველ რიგში საკითხით დაინტერესებულ პირთა წრეებში, ხოლო შემდეგ სამსახურსა და პროექტის წარმომდგენ/შემსრულებელ არქიტექტორთა შორის. საკითხს ამწვავებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის ორ დიდ ქალაქში თბილისსა და ბათუმში საქართველოს მთავრობის ზემოთ ჩამოთვლილი დადგენილებები სხვა, უფრო მოქნილი მასშტაბებით არის გასათვალისწინებელი, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევს როგორც მშენებლების ასევე არქიტექტორების მხრიდან.

სამსახური რეგულარულად ახორციელებს მონიტორინგს მის მიერ წლის განმავლობაში ბიუჯეტის შემოსულობებში შესასრულებელი გეგმისას. 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის, სამსახურის მიერ შესრულდა 8 თვეში. რაც

ვფიქრობთ, რომ სამშენებლო ნებართვების განყოფილებისა და ზოგადად სამსახურის ეფექტური, მოქნილი და საქმეზე ორიენტირებული მიდგომების შედეგად უნდა ჩაითვალოს. დღეის მდგომარეობით გეგმა გაიზარდა 350 (სამას ორმოცდაათი) ათასი ლარით.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 8 თვეში გეგმის შესრულება მოხდა იმ ფონზე, როდესაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ მომხდარა სამშენებლო მოსაკრებლის რაოდენობის ზრდა, რაც 2022 წლის ნოემბრის თვიდან იყო შესაძლებელი. ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული იქედან გამომდინარე, რომ მიმდინარე წელს შეიცვალა მთელი რიგი რეგულაციები და შენობა-ნაგებობათა ექსპლოატაციაში მიღების პროცედურების გავლისას სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა დარღვევით მწარმოებელი მენაშენე ჯარიმდება სოლიდური საჯარიმო სანქციებით. ამ საკითხთა ერთობლიობას, რომ არ გამოეწვია დეველოპერებისა და მცირე თუ საშუალო ბიზნესის რთულ მდგომარეობაში ჩაყენება, მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის, გაიზარდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

სამშენებლო ნებართვების გაცემისას დიდი ყურადღება ეთმობა „შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის N354 დადგენილებას და მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს, რაც ყველა საერთაშორისო თუ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით სამართლიანად მთავარ პრიორიტეტად გვევლინება.

სამსახურის საქმიანობისა და ზოგადად ქალაქის ერთ-ერთ დიდ გამოწვევად რჩება უკანონოდ, წლების წინ სრულიად გაუმართლებლად, უმეტესად საცხოვრებელ ბინებზე, ნაწარმოები მიშენებები.რომელთა ლეგალიზებაც ვერ ხორციელდება, კანონდებლობის მოთხოვნებთან ვერ თავსებადობის გამო. ამ მიმართულებით სამსახურს აქვს კონკრეტული სტანდარტი, მაგრამ ამ ტიპის უნებართვო მიშენებათა თითქმის სრული უმრავლესობა კანონის მიღმა რჩება კვლავ.

საქართველოში, ალბათ, არ მოიძებნება დასახლება, რომელსაც გარკვეული ისტორიულ-კულტურული ღირებულება არ ქონდეს. ეს, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა, რითაც არა მარტო საქართველოს არამედ მსოფლიოს მასშტაბით ამაყობს ჩვენი ქალაქი, თუმცა, მას ასევე აქვს გარკვეული ვალდებულებები, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მოვლა-პატრონობა. ახალი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კულტურული მემკვიდრეობა, რაც უფრო ასაკოვანია ის, უფრო ძვირია შესანახად, მაგრამ დადებითი მხარე ისაა, რომ მისი ღირებულებაც შესაბამისად მზარდია. დარგის სპეციალისტების მიერ ჩტარებული კვლევები ცხადყოფს, რომ კულტურულ მემკვიდრეობაში სწორი და მართული ინვესტიციების განხორციელებისას, მოსალოდნელია რიგი დადებითი ეფექტებისა. პირველ რიგში, იზრდება ტურისტების რაოდენობა; ამდენად, რეკონსტრუქციისაგან პირდაპირი მოგების მისაღებად მნიშვნელოვანია ქალაქმა ხელი შეუწყოს ისეთი ბიზნესების განვითარებას, რომლებიც აღნიშნული რეკონსტრუირებული არეალის ფარგლებში შეძლებენ ტურისტების დაკავებას.

ამ მიმართულებით, ბევრი გამოწვევის წინაშე დგას სამსახური, რადგან მის მესამე, მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თვითმმართველობის საკუთარ

უფლებამოსილებათაგან ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ რომლის თანახმადაც არანაირი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა არ შეუძლია მუნიციპალიტეტს, რადგან ძეგლზე გადაწყვეტილების მიმღები არის ძეგლთა დაცვის სააგენტო და არა თვითმმართველი ქალაქი. რაც გულისწყრომასა და რიც შემთხვევებში გაურკვევლობებს იწვევს. უნდა აღინიშნოს ჩვენი პრეცედენტული მცდელობა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დაწყებისა, რათა შევინარჩუნოთ და ნგრევას გადავარჩინოთ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, მაგრამ ელექტრონული ტენდერი ორჯერ უშედეგოდ დასრულდა, საკითხის შესწავლის შედეგად ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ფაქტორები გამოიკვეთა: ქალაქში ძეგლების რეაბილიტაციაზე მომუშავე ორგანიზაციათა/პირთა სიმცირე, და სააგენტოსთან ურთიერთობის ნაწილში დროის ფაქტორის ვერ გათვლის სირთულე.

სამსახური ცდილობს სხვა მხრივ მოახერხოს და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას, მათთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა, მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით. რათა თავიდან ავირიდოთ უნიკალური ძეგლების „ერთ ღამეში“ დაზიანება, მისი გადაღება, ფასადის შემოძარცვა, მასზე მინაშენის გაკეთება და სხვა. რა თქმა უნდა ამ ქმედებებზე სათანადო რეაგირება ხორციელდება საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს- ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ, მაგრამ ეს რეაგირება ვერ უზრუნველყოფს ძეგლისთვის პირვანდელი იერსახის დაბრუნებას, ეს კი ჩვენს უნიკალურ მემკვიდრეობას დიდი საფრთხის წინაშე აყენებს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისადმი სიყვარულის გაღვივებასა და მათი როგორც სულიერი არსებების სახით გაცნობას ემსახურებიოდა პროექტი- „ამეტყველებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“, რომელიც პირველ ეტაპზე მოიცავდა 46 ობიექტს. სულ, ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ოფიციალურად რეგისტრირებულია 323 ძეგლის სტატუსის მატარებელი ობიექტი. შესაბამისად, პროექტზე მუშაობა გრძელდება, ამ ეტაპზე მხოლოდ სამსახურის ძალებით.

2022 ივნისიდან 2023 წლის სექტემბრამდე სამსახურის მიერ განხილული იქნა (სტატისტიკა):

- 513 მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი).
- მშენებლობის ნებართვა- 780.
- 294 - დეტალური შეტყობინება (II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები).
- ლეგალიზება (2007 წლამდე აშენებულ უნებართვო მშენებლობათა კანონით დადგენილი წესის დაცვით შეთანხმება) - 87.
- I კლასს განკუთვნილი ობიექტები - 1037.
- სამართლებრივი საკითხები - 94.
- შეტყობინება არქიტექტურული ობიექტის შესახებ - 65.

სამსახური ახორციელებს ძირითადი მიმართულებების გარდა ყველა სხვა ისეთ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ქალაქის გალამაზების, გაჯანსაღებისა და

გამრავალფეროვნებისაკენ. აქტიურად არის ჩართული ყველა საგრანტო კონკურსის განხორციელების პროცესში თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული იქნა არაერთი კედელი, რომელთა მოხატვა განხორციელდა და ეს პროცესი ისევ გრძელდება, რაც დაგვეთანხმებით საოცრად ალამაზებს ქუთაისს.

სამსახური უზრუნველყოფს სტაჟიორთა გადამზადებას, რაც ერთ-ერთი იარაღია ჩვენს მიერ ნიჭიერი და ამ სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდების მოზიდვისა და შემდეგში დასაქმებისა. რისი წარმატებული მაგალითიც დღეს სახეზე გვაქვს. ამ მიმართულებით სამსახური გეგმავს კიდევ უფრო აქტიურად მუშაობას, რათა კვალიფიციური და საჯარო სამსახურის ინტერესების გამტარებელი კადრების დეფიციტი მინიმუმამდე დაიყვანოს.

მოქალაქეთა ჩართულობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის მიმართულებით უნდა ითქვას, რომ სამსახურში მოქმედებს ცხელი ხაზი, სადაც ყოველდღიურად 20 მდე ზარის მიღება ხდება, შემდეგ პრობლემათა იდენტიფიცირება და უკუკავშირი ხორციელდება იმავე დღეს.

სამსახურში ფუნქციონირებს საკონსულტაციო სივრცე, სადაც სათანადოდ გადამზადებული კვალიფიციური კონსულტანტები უზრუნველყოფენ ყველა დაინტერესებულ პირთა მომსახურებას.

ნებისმიერ მოქალაქეს, საკუთარი და სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ამ უკანასკნელი პროცესის გამართულად მიმდინარეობაზე სამსახური თავად არის პასუხისმგებელი.

მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით ვიწვევთ და ვატარებთ მარტივ ადმინისტრაციულ საქმის წარმოებას კანონით დადგენილი წესით. რაც შეიძლება ითქვას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია საჯარო საქმიანობის განხორციელებისა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს სამსახურის საქმიანობა სასამართლოში, რაც წარმატებით და მაღალკვალიფიციურ დონეზე ხორციელდება სამსახურის თანამშრომელთა უშუალო ჩართულობით. განსახილველი საქმეების დადებითად და უარყოფითად დასრულების სტატისტიკა კი - ჩვენი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამსახურში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად, ყველა ინფორმაცია აისახება ინტერაქტიულ რუკაზე, რაც გარანტიას სამსახურის გამჭვირვალე მუშაობისა. ინტერაქტიული რუკის და ზოგადად მოქმედი სისტემის დახვეწასა და შემდგომი სულყოფისათვის სამსახური ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს.

და ბოლოს, კვლავ ხაზი უნდა გაესვას საკანონმდებლო სივრცის აუცილებელი სრულყოფის საკითხს, რაც შეიძლება ითქვას ერთ-ერთ რთულ გამოწვევად რჩება სამსახურის. 2019 წლიდან დღემდე მუდმივ ცვლილებას განიცდის სფეროს მარეგულირებელი ნორმები. ხშირად, არა მარტო იერარქიულად სხვადასხვა საფეხურზე მყოფი დოკუმენტების არამედ ერთი დოკუმენტის ნორმათა შორის არის ისეთი „შეუსაბამობა“, რომ რთულია მუშაობის სტანდარტის სწორად შემუშავება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი ქუთაისი ლიდერია მთლიანად რეგიონსა და მხარეში აქტიური საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური მიმართულებების კუთხით, მაგრამ ყველა

ეს ცვლილება უკვე მომხდარი თუ მომავალში დაანონსებული აფერხებს პროცესებს ზოგადად და დაიწვევს ამ პროცესებში ჩართულ მხარეთა არათანაბარ განვითარებას, რაც სამსახურის საქმიანობაზე დადებითად ნამდვილად ვერ აისახება.

სწორედ ამ და სხვა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქი ქუთაისი ჩვენი სამსახურის მეშვეობით სწრაფი ტემპით მიიწვევს წინ და ყველაფერს აკეთებს, რათა რაც შეიძლება მალე ჰქონდეს ქალაქს გრძელვადიანი მართვის მთავარი დოკუმენტი -განაშენიანების გენერალური გეგმა“

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძველთა დაცვისა და საშენებლო ნებართვების სამსახურის ანგარიში 2022 წლის ივნისიდან 2023 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

